

ფორმა #1 - ფინანსური მდგომარეობა

შპს ბათუმი თაური ს/კ 404483019	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	218,679	31,483
სავაჭრო მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	3,761,578	4,453,067
მარაგები	0	0
მზა პროდუქცია		
სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	160,002,537	86,143,716
ბიოლოგიური აქტივები		
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	691,880	724,927
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	505,300	5,860,474
სულ აქტივები	165,179,974	97,213,667
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	5,952,902	509,430
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2,810	
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	136,127	55,673
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	88,050,999	26,686,445
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	1,712	
სულ ვალდებულებები	94,144,550	27,251,548



საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	78,798,041	76,051,862
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-7,762,617	-6,089,743
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	71,035,424	69,962,119
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	165,179,974	97,213,667

დირექტორი




ფორმა #2 - საქმიანობის შედეგები

შპს ბათუმი თაუერი ს/კ 404483019	31/12/2019	31/12/2018
ნეტო ამონაგები	2,183,575	6,765,465
საქონლის გაყიდვიდან	2,183,575	6,765,465
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	1,331,314
საწყისი მარაგები	0	
მარაგების შესყიდვა	0	609,474
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	0	721,840
საერთო მოგება	2,183,575	8,096,779
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება		-307,270
ცვეთა და ამორტიზაცია	-90,688	-14,457
საპროცენტო შემოსავალი:	146,603	157,595
საპროცენტო ხარჯი :		-1,007,863
იჯარის ხარჯი	-14,941	-16,398
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2,324,981	-11,961,465
სულ საოპერაციო ხარჯები	-2,284,007	-13,149,858
საოპერაციო მოგება	-100,432	-5,053,079
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		-44,555
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-1,572,442	-1,379,477
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1,672,874	-6,477,111
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	-1,672,874	-6,477,111
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-1,672,874	-6,477,111
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	69,962,119	70,924,945
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2,746,179	-6,239,923
კაპიტალის სხვა ცვლილებები		1,207,997
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	71,035,424	65,893,019

დირექტორი

/მ.ქათამაძე

ფორმა #3 ფულადი სახსრების მოძრაობა

შპს ბათუმი თაუერი ს/კ 404483019	31/12/2019	31/12/2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-2,684,399.00	-6,343,433
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-60,743,129.00	-15,101,253
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	65,958,359.00	21,523,844
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2,530,831.00	79,158
სავალუტო კურსის ეფექტი	-2,343,635.00	-84,228
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	31,483.00	35,354
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	218,679.00	30,284

დირექტორი



/მ.ქათამაძე/



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. შპს „ბათუმი თაუერი“ დაფუძნდა 2014 წლის 28 ნოემბერს, მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

„კომპანიის“ რეგისტრირებული მისამართია:

იურიდიული - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირსა და ყიფშიძის ქუჩას შორის (თ.აბულაძის #1).

საიდენტიფიკაციო კოდი: 404483019 ;


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და წილის მფლობელი: CELWOOD INVESTMENT LIMITED - 100%

დირექტორი - მირიან ქათამაძე;

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა - 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს ბიზნესი (სასტუმროს მომსახურება) ქალაქ ბათუმში, აპარტამენტების სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა და გაყიდვა.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მიმზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისთვის.



2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გამოქვეყნებულია „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის № 6-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს მომსახურების გაწევას, აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

კომპანია საანგარიშგებო (2019წ.) პერიოდში თავის საქმიანობას აწარმოებდა ქ. ბათუმში, ნინოშვილის და ჟღენტის კვეთა, საკუთარ ტერიტორიაზე:

ა. საკუთრივ კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (4504 კვ. მეტრი), გასაყიდი აპარტამენტები, რომელიც შეძენილი იქნა სახელმწიფოსაგან აუქციონზე 2015 წელში 25.004.626 (ოცდახუთი მილიონ ოთხიათას

ექვსასოცდაექვსი) აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით ლარში და სასტუმროს შენობა (საერთაშორისო ოპერატორი LEMERIDIEN).

ბ. სასტუმრო და გასაყიდი აპარტამენტები განთავსებულია ქ. ბათუმის ბულვარში ზღვასთან ახლოს საუკეთესო ტურისტულ ზონაში.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისთვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორის“ 2015 წ-დან. სამეურნეო ოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია „კომპანიის“ მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად
კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ექვივალენტი იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნებოდეს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;

- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

4) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში (საქართველო, ლარი), სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც „კომპანიის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

5) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, ანუ ნარჩენი ღირებულებით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება, ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც

დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. მათგან კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

თითოეული საანარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმო გაანალიზებს ცვეთის არსებულ მეთოდს და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმო შეცვლის აქტივის ცვეთის მეთოდს აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმოში ასეთის სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

საანგარიშო (2019წ.) წელში კომპანიაში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების გასვლა ექსპლოატაციიდან გაყიდვა/ჩამოწერა.

6) სხვა მიმდინარე აქტივები

კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დაფიქსირებულია ანგარიშგებაში სხვა მიმდინარე აქტივები 160.002.537 (ასსამოცი მილიონ ორი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.

სხვა მიმდინარე აქტივები შეადგენს:

- დაუმთავრებელი მშენებლობა - 135.297.938 ლარის
- საქონელი - 13.419.407 ლარის
- ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი ზედმეტობა - 10.909.370 ლარი
- სხვა მიმდინარე აქტივები - 375823 ლარი

7) არამატერიალური აქტივები

- კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული მოქმედების ვადა.

(შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის არმქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო ვადის, რომელიც შეადგენს 5-10 წელს შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის კი მათი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით თანაბარ წილად).

8) სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებსა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაუფარავმა სასესხო ვალდებულებამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2019წ.) შეადგინა: სს თი ბის სი ბანკი - 26,845,000 ევრო, სხვა კრედიტორები ლარში - 1.891.971 ლარი, სულ სასესხო და საკრედიტო დავალიანება ლარში შეადგენს 88.050.999 ლარს. დარიცხული და გადაუხდელი სესხის პროცენტები შეადგენს 136127 ლარს.

სხვა გრძელვადიან აქტივებში ასახულია კომპანიის მიერ გაცემული სესხი 505300 (ხუთასხუთი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

9) ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში, როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნას საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

10) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს (მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები) შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შემენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემენის დანახარჯები:

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება. კომპანიის კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოადგენს ლითონის მასალებს, სამშენებლო მასალებს, რომლებიც გრძელვადიანი შენახვისაა, არაა მალეფუჭებადი და ამ მიზეზით მათი ჩამოწერის პრობლემა კომპანიას არ გააჩნია.

11) სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად (კერძოდ საქონლის გაყიდვებიდან) მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

მოთხოვნის გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, სარეალიზაციო ფასის დაფიქსირება ხდება აშშ დოლარში ეროვნული ბანკის მიერ დადაგენილი კურსით და ანაზღაურებაც შესაბამისად ხდება გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ამის შედეგად გამოწვეული

სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში. გამომდინარე ასეთი მიწოდება/ანაზღაურების პირობებიდან, საანგარიშო წლის ბოლოს ხორციელდება დებიტორული დავალიანების გადაფასება და სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში. კომპანიას არ აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი კომპანიები, საქონლის მიწოდება და ანაზღაურება ხდება პირდაპირ ლარშიც და უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი). შესაბამისად საანგარიშო წლის ბოლოს ხდება კრედიტორული დავალიანების გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

12) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

13) კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და პარტნიორთა კრების ოქმებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და შეადგენს 78.798.041 (სამოცდათვრამეტი მილიონ შვიდასოთხმოცდაცხრამეტი ათას ორმოცდაერთი) ლარს, რომელიც დამფუძნებლის მიერ შევსებულია სრულად.

გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი - საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიის ზარალი შეადგენს - 7.762.617 ლარს.

გადაფასების რეზერვი - კომპანიას არ ერიცხევა,

სხვა რეზერვი და დაფინანსება - კომპანიას არ გააჩნია.

დივიდენდების განაწილება

საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ არ არის გაცემული დივიდენდები დივიდენდები, რადგანაც კომპანიის საქმიანობა წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას და საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარეობს მხოლოდ ინვესტირება.

14) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მოუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის

შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

15) მსს ფასს-თან პირველადი ადაპტაცია

კომპანია დაარსებიდან ანუ 2015 წლიდან ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას არ მოუმზადებია ისინი წინა პერიოდებში, ამიტომ 2019 წლის ანგარიშგებაზე არ მოახდენს გავლენას წინა პერიოდების მონაცემები.

16) კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას


კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 14 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანიის დირექტორი:



/ბექედი, ხელმოწერა/

